განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

განვითარებული სახელმწიფოების პრაქტიკისა[1] და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (შემდგომში „კოდექსი“, ან „კანონპროექტი“) მიღება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ეფუძნებოდეს ჰუმანიზმის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პრინციპებს.

კანონპროექტის მიღების მიზეზია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საკმარისი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა, არასრულწლოვნის განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობასთან შეუსაბამო სამართლებრივი სისტემა, რომელიც არ არის ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული. არსებული კანონმდებლობა არ უთმობს საკმარის ყურადღებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების უპირატესობას, არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სათანადო მექანიზმებს და სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკისგან[2] განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც გააერთიანებდა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის შესახებ არსებულ სპეციფიურ წესებს და გაამარტივებდა მათ აღქმას. არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ 1924 წელს, ბავშვის უფლებების შესახებ ჟენევის დეკლარაციით[3], არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების საკითხს ეხება მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელთა დებულებებსაც დაეყრდნო წინამდებარე კოდექსი, მათ შორის: ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959)[4], ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989)[5] და მისი დამატებითი

---

[1] გერმანია, სერბეთი, ხორვატია, ჰოლანდია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, მაკედონია.

[2] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების ცალკე სამართლებრივ აქტებს იცნობს ისეთი ქვეყნების კანონმდებლობა, როგორიცაა: გერმანია, ხორვატია, სერბეთი, მაკედონია და სხვ.

[3] ჟენევის დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ (1924), ერთა ლიგა.

[4] დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 1386 (XIV) (1959).

ოქმი (2000)[6], არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები) (1985)[7], არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005),[8] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები (ჰავანას წესები) (1990)[9], არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადის წესები) (1990)[10], სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის კონვენცია (ლანზაროტეს კონვენცია) (2007)[11], ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები (2010)[12], არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები (ევროპული წესები) (2008)[13], სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. არსებული კანონმდებლობა ნაწილობრივ უკვე ითვალისწინებს სპეციფიკურ მიდგომას არასრულწლოვნების მიმართ, თუმცა საერთაშორისო სტანდარტები გაცილებით მაღალია და მათთან შესაბამისობისთვის აუცილებელია ერთიანი სპეციალური საკანონმდებლო აქტის ჩამოყალიბება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ორი მოდელური კანონი - „მართლმსაჯულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმეებზე“[14] (არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი) და „სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის

---

[5] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (CRC), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 44/25 (1989).

[6] ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის 2000 წლის 25 მაისის რეზოლუცია A/RES/54/263.

[7] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მინიმალური სტანდარტული წესები ("პეკინის წესები"), გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია 40/33.

[8] არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2005 წლის 22 ივლისის რეზოლუცია 2005/20.

[9] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები („ჰავანას წესები“), გაეროს გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 45/113.

[10] არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები („ერ-რიადის წესები“), გაეროს გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია (A/RES/45/112).

[11] ევროსაბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია) (2007).

[12] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ (2010).

[13] არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები (ევროპული წესები), ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008).

[14] მოდელური კანონი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) (2013).

მონაწილეობით“[15] (არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მოდელური კანონი) - იმ მიზნით, რომ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებაში.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი გარანტიების შექმნით მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვა; კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისთვის და არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დასაცავად საჭირო მექანიზმების შემუშავება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მორგება რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პრინციპებზე, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას; მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ნორმების სიმარტივის და განჭვრეტადობის უზრუნველყოფას. კოდექსის მიღების ვალდებულება გაწერილია აგრეთვე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ადგენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების, სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე არასრულწლოვნებისთვის სპეციალური წესების გათვალისწინება საერთაშორისო სტანდარტია, რომელსაც მიმართავენ ქვეყნები, სადაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე წარმოება გამოყოფილია სისხლის სამართალწარმოებისგან.[16]

---

[15] მოდელური კანონი ბავშვი მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) (2009).

[16] მაგ: ესტონეთის არასრულწლოვანთა სანქციების აქტის პირველი მუხლის მიხედვით, აქტის მოქმედების სფერო ვრცელდება ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ რიგ მუხლებზე; ბავშვების მიმართ სავალდებულო გამასწორებელი ზომების გამოყენების შესახებ ლატვიის კანონის მეორე მუხლის თანახმად სავალდებულო ღონისძიებები მოიცავს როგორც სისხლისსამართლებრივ, ასევე ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მაკედონიის კანონის მეათე მუხლი აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება კომპეტენტური სასამართლოს წინაშე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს.

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის უპირველეს გათვალისწინებაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომებისათვის უპირატესობის მინიჭებაში, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ ფართო უფლებამოსილების განხორციელებაში, სასამართლო პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობისას მისი უფლებების დაცვის, მშობლების და სხვა ახლო ნათესავების მონაწილეობის და პატიმრობის გაუმჯობესებული პირობების უზრუნველყოფაში. კანონპროექტი არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ და ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე მსუბუქი ზომების გამოყენებით, რამდენადაც არასრულწლოვანს არ აქვს განვითარება დასრულებული და მისი ინტერესებიდან გამომდინარე მისივე გამოსწორებისთვის, როგორც წესი, უმჯობესია სასამართლოში საქმის წარმოების ან სხვა მკაცრი ზომების მიღების თავიდან აცილება.

i. კანონპროექტის მოქმედების სფერო

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული. ამასთანავე, კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართაც. კერძოდ, კოდექსი მათ მიმართ გამოიყენება კანონპროექტის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (როდესაც 18-დან 21 წლამდე პირი ბრალდებულია), მასზე ვრცელდება აგრეთვე კანონპროქტის 38-ე - 48-ე მუხლები. 18-დან 21-წლამდე ასაკის პირზე არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი ნორმების გავრცელება აპრობირებულია სახელმწიფოებში, სადაც განვითარებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად: გერმანია, ხორვატია, სერბეთი, ჰოლანდია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, მაკედონია, შვედეთი.[17] საერთაშორისო სტანდარტები ასევე ითვალისწინებს 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზე არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი წესების

[17] იხ. სერბეთი: 2005 წლის კანონი არასრულწლოვანი დამნაშავეებისა და არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ, მუხლი 3, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.refworld.org/docid/4b56c9952.html; ხორვატია: არასრულწლოვანთა სასამართლოს კანონი, მუხლი: 2, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.vsrh.hr/CustomPages/Static/HRV/Files/Legislation__Juvenile-Courts-Act.pdf; გერმანია: არასრულწლოვანთა სასამართლოს კანონი, მუხლი 1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://dejure.org/gesetze/JGG/1.html; იხ. ასევე F. Losel, A. Bottoms, D.P. Farrington, 'Young Adult Offenders' (2012), გვ. 76.

გავრცელებას.[18] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარების თანახმად, ნეირო-მეცნიერული კვლევებითა და ადამიანის თავის ტვინის განვითარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რეალურად ძალიან რთულია დადგინდეს განსხვავება მოზრდილი ბავშვისა (‘*older child*’) და ახალგაზრდა ზრდასრულის (‘*young adult*’) თავის ტვინებს შორის, რის გამოც ევროპული სახელმწიფოების უმეტესობა უკვე ავრცელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზე.[19] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ გარდამავალი პერიოდი ბავშვობიდან ზრდასრულობაში საკმაოდ ხანგრძლივია, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ზრდასრულებზე იგივე წესების გავრცელება, რაც გათვალისწინებულია არასრულწლოვნებისთვის.[20]

კანონპროექტის თანახმად მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოიყენება სხვა ნორმატიული აქტების დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს. ასეთი ნორმატიული აქტები შეიძლება იყოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ), პატიმრობის კოდექსი, კანონი პოლიციის შესახებ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვ. ეს ჩანაწერი ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას უპირველესი ნორმატიული აქტი, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, არის ეს კოდექსი, მაგრამ გამოიყენება სხვა ნორმატიული აქტებიც აგრეთვე, თუ ისინი არ მოვლენ წინააღმდეგობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან.

ii. კანონპროექტის ძირითადი პრინციპები

- არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები

კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით.

---

[18] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, გვ. 12, პარაგრაფი 38.

[19]არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები *(Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law - Model Law on Juvenile Justice and Related Commentary*) (2013), გვ. 47, მუხლი 4 (2).

[20] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია *(Recommendation CM/Rec (2003)20 of the Committee of Ministers to member States concerning new ways of dealing with juvenile delinquency and the role of juvenile justice, adopted by the Committee of Ministers* (2003)*)*, პარაგრაფი 11.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით,[21] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვნები სრულწლოვანებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები *per se* ადასტურებს მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს და მოითხოვს სრულწლოვანებისგან განსხვავებულ მიდგომას. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებმა, რაც საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოების უსაფრთხოების მიზანს ემსახურება.[22]

პეკინის წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიებების მინიმუმამდე დაყვანას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას.[23] „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.[24]

- **ინდივიდუალური მიდგომა**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მნიშვნელოვანი პრინციპია ასევე ინდივიდუალური მიდგომა. ინდივიდუალური მიდგომის მოთხოვნა განმტკიცებულია

---

[21] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლი 13(2); იხ. ასევე პეკინის წესები, წესი 14(2) და ევროპული წესები, წესი 5.

[22] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 10.

[23] პეკინის წესები, წესი 5.

[24] სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), *Criminal Justice Handbook Series* (United Nations: New York, 2009).

ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებით და სხვა საერთაშორისო აქტებით.[25]

ინდივიდუალური მიდგომა მჭიდრო კავშირშია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასთან და გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.[26] ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას.[27]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით აღნიშნული პრინციპი პროცესის მწარმოებელი პირისგან მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის მიმართ გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვნის შემდეგი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

- **სპეციალიზაცია**

მნიშვნელოვანია, რომ პირი, რომელიც განახორციელებს ისეთ სპეციალურ ღონისძიებებს, რაც მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის არის გათვალისწინებული, სპეციალიზებული იყოს ამ კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს იმის საფრთხე, რომ პროცესი ხარვეზებით წარიმართოს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს არასრულწლოვნის ინტერესები. აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულია როგორც არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონით,[28] ასევე ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი #10 კომენტარით, რომელიც რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვნებისთვის შექმნან ცალკე სასამართლოები, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნა.[29] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი ცალსახად უთითებს, რომ არასრულწლოვანთან მომუშავე სპეციალისტებს (პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი

---

[25] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი, მუხლი 8.1(ა); გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, პარაგრაფები: 10, 11, 14, 16; ლანზაროტეს კონვენცია, მუხლი 31.1.

[26] ევროპული წესები, წესი 5.

[27] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები III.ბ.2.ა; გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, -კომენტარი 12, პარაგრაფები 70-71, 74.

[28] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლები 5-7.

[29] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 93.

უფლებამოსილების ფარგლებში შეხება აქვს არასრულწლოვანთან) გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი.[30] ასევე, უნდა არსებობდეს არასრულწლოვნების მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზებული პროკურატურა, ხოლო თუ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია, უნდა არსებობდნენ სპეციალიზებული პროკურორები მაინც.[31] გარდა ამისა, არასრულწლოვნების საქმეების გამოძიებისთვის პოლიციაში უნდა შეიქმნას სპეციალური განყოფილება, ხოლო თუ განყოფილების შექმნა შეუძლებელია, არასრულწლოვნების საქმეებზე უნდა იმუშაოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზებულმა პოლიციის ოფიცერმა.[32]

კანონპროექტის თანახმად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები. სპეციალიზაცია სავალდებულო მოთხოვნაა ყველა იმ პირისთვის, რომელიც მუშაობს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან, მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვანთან. გამომდინარე იქედან, რომ არასრულწლოვანი განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს, აუცილებელია, პირმა, რომელსაც აქვს მასთან შეხება, იცოდეს თუ როგორ უნდა მიუდგეს ამ მას. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვა უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლის მიერ, ხოლო საქმის კოლეგიური წესით განხილვის შემთხვევაში, აუცილებელია კოლეგიის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, თავმჯდომარე მაინც იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე. გარდა ამისა, არასრულწლოვნის საქმეს უნდა გამოიძიოს, ხოლო საპროკურორო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ არასრუწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა გამომძიებელმა და პროკურორმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არასრულწლოვანთა საქმეებს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქმედებები უნდა განახორციელოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა.

გარდა ამისა, კანონპროექტი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა საქმეები აწარმოოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა ადვოკატმა. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული უნდა იყოს სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პატიმრობის შესაბამისი დაწესებულების პერსონალი.

[30] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლი 8(1).
[31] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლი 6.
[32] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლი 7.

- **დისკრიმინაციის აკრძალვა**

დისკრიმინაციის აკრძალვა ცალსახად გაწერილია ბავშვის უფლებათა კონვენციაში.[33] ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, რომ ყველა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს თანაბარი უფლებები.[34]

წინამდებარე კანონპროექტი კრძალავს არასრულწლოვნის დისკრიმინაციას როგორც მისი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის ისეთი მახასიათებლების მიხედვით, რის გამოც დისკრიმინაცია აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის საფუძველზე.[35]

- **ჰარმონიული განვითარება**

კანონპროექტი განამტკიცებს არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლებას: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება. შესაბამისად, არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულმა პირებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ არ შეიქმნას რაიმე დაბრკოლება არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარებისთვის, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების კუთხით.

- **თანაზომიერება**

თანაზომიერება საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია. ევროპული წესების მიხედვით, სანქციების გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მათ საუკეთესო ინტერესებს, შემოფარგლული იყოს დანაშაულის სიმძიმით და მხედველობაში იქნას

---

[33] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2, იხ. ასევე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2010) გაეროს არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, მუხლი 13(1).

[34] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 6, იხ ასევე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #20, E/C.12/GC/20 (2009), პარაგრაფი 9.

[35] საქართველოს კანონის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2014), მუხლი 1.

მიღებული არასრულწლოვნის ასაკი, ფიზიკური და გონებრივი განვითარება, შესაძლებლობები და პიროვნული მახასიათებლები.[36]

პეკინის წესების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს დამნაშავისა და დანაშაულის ჩადენის დროისათვის არსებული გარემოებების,[37] ასევე დანაშაულის სიმძიმისა და არასრულწლოვანისა და საზოგადოების საჭიროებების/მოთხოვნების პროპორციული.[38] ეს მიდგომა გულისხმობს, რომ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან განხორციელებული რეაქცია უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ობიექტურ, არამედ არასრულწლოვნის პირადი მდგომარეობის შესაბამის შეფასებას.[39]

კანონპროექტის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ზომა უნდა იყოს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, აგრეთვე არასრულწლოვნის პიროვნების, ასაკის, მისი საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საჭიროებების შესაბამისი.

- **ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობა**

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები შესაძლებლობის ფარგლებში ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ალტერნატიული ზომების გამოყენებას არასრულწლოვნების მიმართ.[40]

კანონპროექტი აწესებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების უპირატესობას არასრულწლოვანთან მიმართებაში, რაც ნიშნავს იმას, რომ მაგალითად სასჯელის შეფარდებისას პირველ რიგში განხილული უნდა იქნას ყველაზე მსუბუქი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდოს უფრო მძიმე ზომა, თუ დადგინდება, რომ მსუბუქი საშუალება მიზანს ვერ მიაღწევს. ამასთანავე, არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განიხილება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, უკეთ მოემსახურება თუ არა განრიდება ან ასეთი ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებასთან შედარებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით ნებისმიერი

[36] ევროპული წესები, წესი 5.
[37] პეკინის წესები, წესი 5.
[38] პეკინის წესები, წესი 17.1 (ა).
[39] გაეროს არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, მუხლი 13(3).
[40] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40.3(ბ).

ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ სასამართლოში საქმის განხილვის ნაცვლად გამოიყენება, უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის მიზანს.

- **განრიდება**

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განიხილება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უკეთ მოემსახურება თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებასთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორი უპირველეს ყოვლისა იფიქრებს განრიდების გამოყენებაზე, და თუ შესაბამისი საფუძვლები არ იქნება სახეზე და განრიდების გამოყენება არ იქნება მიზანშეწონილი, მხოლოდ ამის შემდეგ განიხილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

კანონპროექტი განმარტავს განრიდების გამოყენების წესს - განრიდების გამოყენება შესაძლებელია მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. განრიდების გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, წარსულში ჩადენილი დანაშაული და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არასრულწლოვნის განრიდებაზე უარი უნდა დასაბუთდეს. გადაწყვეტილებაში უპირველეს ყოვლისა უნდა მიეთითოს თუ რატომ ვერ იქნება მიღწეული რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი განრიდების ღონისძიების გამოყენებით.[41]

- **პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება**

ბავშვის უფლებათა კონვენციის[42] და პეკინის წესების[43] მოთხოვნით, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა იქნას გამოყენებული როგორც უკიდურესი ზომა და რაც

---

[41] არასაპატიმრო ზომების შესახებ გაეროს მინიმალური წესები *(ტოკიოს წესები)*, გაეროს რეზოლუცია #45/110 (1990), წესი 5, *(სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეწყვიტონ სამართალწარმოება ბავშვის წინააღმდეგ, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან კანონისადმი და დაზარალებულის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად არ არის საჭირო პროცესის გაგრძელება).*

[42] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37.

შეიძლება მცირე ვადით. ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრებით, არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა არა მხოლოდ არაეფექტურია, არამედ ეს შეიძლება საზიანოც იყოს არასრულწლოვნის განვითარებისა და ჯანმრთელობისთვის; ეს არის კიდევ ერთი მიზეზი, რომ სახელმწიფოებმა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები იმისთვის, რომ ჩვეულებრივ, ბავშვების მიმართ გამოიყენებოდეს არასაპატიმრო ღონისძიებები და შემცირდეს მათთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკა.[44]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დაუშვებლად აცხადებს საპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას არასრულწლოვნის მიმართ ისეთ შემთხვევაში, როცა კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა შესაძლებელია უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით.

- **არასრულწლოვნის მონაწილეობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში**

პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის უფლება აღიარებული და საყოველთაოდ განმტკიცებული ნორმაა. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის[45] თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფ ნებისმიერ არასრულწლოვანს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც გავლენას ახდენს მასზე, და კერძოდ, ჰქონდეს შესაძლებლობა, მოუსმინონ ნებისმიერი სასამართლო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. მას აქვს უფლება მოუსმინონ უშუალოდ ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით და მხედველობაში მიიღონ მისი შეხედულებები მისი ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, უფლება იურიდიული დახმარების მიღებაზე და სხვა უფლებები უნდა იყოს გარანტირებული არასრულწლოვნებისათვის ისევე, როგორც ეს არის გარანტირებული სრულწლოვანების შემთხვევაში.[46]

კანონპროექტი არასრულწლოვანს ანიჭებს მის საქმეზე პროცესში მონაწილეობის უფლებას. კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება, მათ შორის უფლება, მოუსმინონ და მხედველობაში მიიღონ მისი მოსაზრებები მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ადვოკატს უფლება აქვს არასრულწლოვნის ნებისაგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ამასთანავე, თუ არასრულწლოვანისა და კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენლის მოთხოვნა ერთმანეთს

---

[43] პეკინის წესები, წესი 17.

[44] „ბავშვები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის“ (სტრასბურგი, 2009), ადამიანის უფლებათა კომისარი, CommDH/Issue Paper (2009)1, გვ. 11.

[45] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12(2).

[46] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპი 3.

ეწინააღმდეგება, უპირატესობა ენიჭება იმ მოთხოვნას, რომელიც უფრო შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მისი აღქმისა და გაგების უნარს.

- **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა განმტკიცებულია საერთაშორისო კონვენციებით,[47] მათ შორის ბავშვის უფლებათა კონვენცია არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებას, რომ მის საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანა მოხდეს გაჭიანურების გარეშე კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.[48] კოდექსის მოითხოვს, რომ სასამართლომ საქმეთა განხილვის რიგითობის განსაზღვრისას უპირატესობა მიანიჭოს კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საქმეებს და არ დაუშვას საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება.

- **არასრულწლოვნის ნასამართლობა**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის 50-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანი პირის რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია უნდა იყოს.[49] ამავე კანონის თანახმად, არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მკაცრად კონფიდენციალურად და მიუწვდომელი იყოს მესამე მხარისთვის.[50]

კანონპროექტის თანახმად არასრულწლოვნის ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობითი მსჯავრის შემთხვევაში - გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ნასამართლობის დაუყოვნებლივ გაქარწყლება უფრო მეტად დაეხმარება პირის რეაბილიტაცია/რესოციალიზაციას და მის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. ლოგიკური და ჰუმანურია, არასრულწლოვანების ასაკში ჩადენილი დანაშაული არ უნდა იქნეს აღქმული ისე მძიმედ, როგორც სრულწლოვანის მიერ ჩადენილი. ასეთი ჰუმანური მიდგომა სრულიად გამართლებულია, ემსახურება

---

[47] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40(2)(ბ)(ii); საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) (1966), მუხლი 9(3); აფრიკული კონვენცია ადამიანის და ხალხის უფლებების შესახებ (1982), მუხლი 7(1)(დ); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (ACHR) (1969), მუხლი 8(1); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) (1950), მუხლი 6(1); იხ. ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, მუხლი 13.

[48] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40(2)(ბ)(iii); იხ. ასევე საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 9(3).

[49] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლი 50.

[50] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლი 57.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანს და შესაბამისად, საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებს და სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. თუმცა, კანონპროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული შეღავათი აღარ იმოქმედებს, თუკი პირი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება: ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ; გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

- **არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვა**

ევროპული წესების თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული სანქციისა თუ ღონისძიების დასრულებისთანავე უნდა განადგურდეს მისი საქმის მასალები ან მოხდეს მათი დაარქივება, სადაც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა იქნება მკაცრად შეზღუდული იმგვარად, რომ ინფორმაცია დაცული იყოს გამჟღავნებისგან.[51] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად კი იმისათვის, რომ „ახალგაზრდამ“ შრომის ბაზარზე უპრობლემოდ დაიმკვიდროს თავი, სახელმწიფოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას არ ჰქონდეს ვალდებულება დამსაქმებლებს გაუმჟღავნონ საკუთარი ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოს სპეციფიკა სხვაგვარად მოითხოვს.[52] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი მოითხოვს, რომ არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია დახურული იყოს მესამე მხარეებისთვის და შენახული იქნას მკაცრად საიდუმლოდ.[53]

არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მის მიმართ გამოყენებულ ზომას რეალურად ჰქონდეს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის შედეგი და პირმა მოახერხოს საზოგადოებაში საკუთარი თავის სრულფასოვან წევრად დამკვიდრება. არასრულწლოვნების პერიოდში ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა სერიოზულად გაართულოს პირის მიერ ნორმალური ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა (მაგ: მისი დასაქმება, საცხოვრებლის მოძებნა და სხვ.). სწორედ აქედან გამომდინარე კანონპროექტი უზრუნველყოფს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

---

[51] ევროპული წესები, წესი 34.

[52] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია *(Committee of Ministers to member States concerning new ways of dealing with juvenile delinquency and the role of juvenile justice*) (2003), წესი 12.

[53] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, მუხლი 57(1); იხ. ასევე პეკინის წესები, წესი 21 (1).

კანონპროექტის თანახმად, ინფორმაცია არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ მიჩნეული უნდა იყოს როგორც კონფიდენციალური და არ უნდა მოხდეს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების რაიმე სახით გამჟღავნება ან გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

iii. კანონპროექტის სპეციალური მიდგომები

- **ინდივიდუალური შეფასების ანგარიში**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, არასრულწლოვნის ასაკი; განაჩენის სიმძიმე კი განსაზღვრული იქნეს იმგვარად, რომ შემდგომში ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებას და არ იყოს მიმართული არასრულწლოვნის დასჯისაკენ.[54]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და შესაბამისად, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები. შეფასების პროცესში შესაბამისი ორგანო შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში დგება სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე და მისი შედგენის წესი, სტანდარტი და მეთოდოლოგია დეტალურად განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

- **ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თავისებურებანი**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელურ კოდექსის თანახმად ისეთი ჩხრეკის ჩატარება, რომელიც მოიცავს არასრულწლოვნის გაშიშვლებას ან/და სხეულის არა მხოლოდ გარეგან შემოწმებას, მოითხოვს სასამართლო ნებართვის არსებობას. აღნიშნულ ნორმას სრულად შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის თანახმად, ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს სხეულის არასრულწლოვნის სხეულის შიგნით შემოწმებას ან მისი სხეულიდან ნივთის ამოღებას, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საფრთხე ემუქრება არასრულწლოვნის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს. ასეთ შემთხვევაში

[54] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37(ბ), იხ. ასევე ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 28.

გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (112-ე მუხლის მე-5 ნაწილით) დადგენილი წესი; ხოლო ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვნის სხეულის ნაწილობრივ ან მთლიანად გაშიშვლებას, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, აგრეთვე, კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო, არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში, ადვოკატის თანდასწრებითაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

ამასთანავე, კანონპროექტი ადგენს სპეციალურ წესებს, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ამგვარი საგამოძიებო მოქმედება. კერძოდ, ის უნდა ჩატარდეს საგამოძიებო ორგანოს საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი. რაც შეეხება სხეულიდან ნივთის ამოღებას, ნებისმიერ შემთხვევაში ეს უნდა განხორციელდეს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის მქონე დაწესებულებაში სერტიფიცირებული, იმავე სქესის ექიმის ან ექთნის მონაწილეობით და კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო, არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში, აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით. ამასთანავე, საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი.

- **გამოკითხვა და დაკითხვა**

კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ თუ არასრულწლოვანთა კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, არასრულწლოვნის გამოკითხვისა და დაკითხვისას მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი და მხედველობაში არ მიიღება იმავე კოდექსით განსაზღვრული 332-ე მუხლის დებულებები.

კანონპროექტის თანახმად, არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. არასრულწლოვნის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის დასწრებით. საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, მისი დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო- ან ვიდეო ჩაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება). 14 წლამდე პირის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით.

კანონპროექტის თანახმად, არასრულწლოვანი არ შეიძლება დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე პერიოდში. არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით (არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე პერიოდში), აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.

კანონპროექტი კრძალავს ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვას, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვას (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით.

- **კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა**

კანონპროექტის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და სახეზეა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

- **ძალის, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვა**

სასამართლოში წარდგენის, აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის აღსრულებისას კანონპროექტი კრძალავს არასრულწლოვნის მიმართ ძალის გამოყენებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა - როდესაც არასრულწლოვნის დასაკავებლად, მის მიერ თვითდაზიანების, სხვებისთვის ზიანის მიყენების ან/და გაქცევის მცდელობის თავიდან ასაცილებლად სხვა ყველა საშუალება ამოწურულია და უშედეგოა და როდესაც ლეგიტიმური მიზანი ვერ მიიღწევა სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებით.

ძალისა და სპეციალური საშუალების სახით დასაშვებია მხოლოდ ფიზიკური ძალისა და ხელბორკილის და შებორკვის სხვა საშუალების გამოყენება. ამასთანავე, შესაძლებელია რეზინის ხელკეტის, შესაბოჭი ბადის, ცრემლსადენი გაზის ან/და წყალსატყორცნის გამოყენება მხოლოდ ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად.

არასრულწლოვნის მიმართ ცეცხსასროლი იარაღის გამოყენება აკრძალულია, გარდა აუცილებელი მოგერიების და იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანი შეიარაღებულია და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ამ საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებებით შეუძლებელია.

ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებების გამოყენება უნდა გრძელდებოდეს დროის შეძლებისდაგვარად ხანმოკლე პერიოდში, უნდა ემსახურებოდეს კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და იყოს გარემოებების თანაზომიერი. ფიზიკური ძალა ან სპეციალური საშუალება არ უნდა იქნეს გამოყენებული დამამცირებელი ან ღირსების შემლახველი ფორმით.

- **სხვა სპეციალური მიდგომები**

კანონპროექტით განახევრებულია არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადები სრულწლოვნებისთვის დადგენილ წესთან შედარებით. გარდა ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენისას იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

სრულწლოვანებისგან განსხვავებით, არასრულწლოვანს არ შეიძლება მიესაჯოს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა. ხოლო სასჯელის სახეებში დამატებულია შინაპატიმრობა, რომელიც როგორც წესი, ხორციელდება ელექტრონულად.

კანოპროექტის თანახმად, თუ არასრულწლოვანი პატიმარია, მისი პატიმრობის საერთო ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს (და არა 60 დღეს, როგორც ეს სრულწლოვნების შემთხვევაშია). კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადის შემცირებას და ის არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

კანონპროექტის თანახმად, არასრულწლოვნებისთვის შემცირებულია სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადები. ასევე, სასამართლო უფლებამოსილია პირობითად ჩაუთვალოს სასჯელი არასრულწლოვანს იმ შემთხვევაშიც, თუ მან ჩაიდინა მძიმე დანაშაული.

კანონპროექტით გაზრდილია არასრულწლოვნის ოჯახთან და გარემოსთან ურთიერთობის დრო, გათვალისწინებულია სპეციალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები, რეკრეაციული და ფიზიკური აღზრდის პროგრამები.

iv. დამატებითი საკითხები

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტი აწესრიგებს სხვადასხვა საკითხებს და ითვალისწინებს არასრულწლოვანთა რიგ საპროცესო უფლებებს, კერძოდ უფასო იურიდიული დახმარების უფლება არასრულწლოვანი ბრალდებულისა და დაზარალებულისთვის, ასევე არასრულწლოვანი მოწმისთვის თუ ის გადახდისუუნაროა; განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლება; თარჯიმნის უფასო მომსახურებით სარგებლობის უფლება ასეთის საჭიროების შემთხვევაში; კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლება, საკონსულო დახმარების უფლება და სხვ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის 66-ე მუხლის „ბ“ პუნქტის და 69-ე მუხლის მიღება გამოიწვევს ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 855 000 ლარის ოდენობით. ეს ხარჯები გაწეული იქნება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული კოდით 2702 (სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა) გათვალისწინებული ასიგნებებიდან. კანონპროექტის სხვა მუხლების მიღება არ გამოიწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, ვინაიდან მათი ამოქმედება მოხდება 2016 წლიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

იხ.: განმარტებითი ბარათის „ბ. ა“ ქვეპუნქტი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის პრეზენტაცია და შესაბამისი კონსულტაციები გაიმართა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, ასევე საბჭოს ფარგლებში მოქმედ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის და სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფებში. ამასთანავე, კანონპროექტის მომზადებაში ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტი დან ო'დონელი,[55] რომელსაც გაეგზავნა კანონპროექტის პირველადი ვარიანტი. ექსპერტის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებაში აღნიშნული იყო, რომ კოდექსი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მისი წარმატებით იმპლემენტაციის შემთხვევაში, კოდექსში შესაძლოა გახდეს მოდელი რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

[55] „სისხლის სამართლებრივი სისტემის რეფორმა საქართველოში" - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის კონსულტანტი.